საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 50 38 06/08/2018

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“ - სთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა - ნაგებობების სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე - 6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „კულტურისა და ხელოვნების ცენტრს გადაცეს სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი შენობა - ნაგებობები:**

1.დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N 50-ში მდებარე (ს/კ 36.01.31.023).

290 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობა 229 კვ.მ ფართით.(ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობა).

2.დაბა ხარაგაულში წერეთლის ქუჩა N 25-ში (ს/კ 36.01.31.029). 229 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ მდგარი 59,26 კვ.მ შენობა-ნაგებობა.(პატარა ხარაგაულის ბიბლიოთეკა).

3.დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N27-ში (ს/კ 36.01.02.109) 226,7 კვ.მ შენობა-ნაგებობა.(საბავშო ბიბლიოთეკა).

4.დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N4-ში (ს/კ 36.01.02.007)371,59 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი და 371,59 კვ.მ შენობა-ნაგებობა (კულტურის ცენტრის ოფისი).

5.დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N 12-ში (ს/კ 36.01.31.098) 1026 კვ.მ

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ მდგარი შენობა-ნაგებობები
1064,31კვ.მ
ფართით.(კინოთეატრი).

6.დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 47-ში (ს/კ 36.01.33.157) 1704 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი და შენობა -ნაგებობა 813 კვ.მ ფართით (ისტორიული მუზეუმი).

7.დაბა ხარაგაულში რეზო დეკანოსიძის ქუჩა N 5-ში (ს/კ 36.01.05.003ა 01.500) მდებარე შენობა -ნაგებობის პირველ სართულზე 215 კვ.მ ფართი (ხალხური შემოქმედების სახლი).

8.დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N 19 ა-ში (ს/კ 36.01.33.062.01.504) მდებარე შენობის მეორე სართულზე სამი ოთახი 54,35 კვ.მ ფართით.(რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი)

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე